# საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. დებულება განსაზღვრავს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. ფუნქციები

2.1. უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის მართვის ავტომატიზებული სისტემის დაპროექტება და დანერგვა.

2.2. უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა კომპიუტერთან დამოუკიდებელი მუშაობის უზრუნველყოფა.

2.3. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა.

2.4. უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკის მონიტორინგი.

3. განყოფილების სტრუქტურა

3.1. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი.

3.2. განყოფილებაში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.

3.3. განყოფილების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3.4. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

4.2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და განყოფილების ლიკვიდაციის შემთხვევაში.